# საქართველოს სახელმწიფო ტელე-რადიოკომიტეტი (1979-1986 წწ): დე იურე – საბჭოთა იდეოლოგიური ინსტრუმენტი, დე ფაქტო – საზოგადოებრივი მაუწყებლის პროტოტიპი

# The Georgian State Television and Radio Committee (1979-1986): De Jure – A Soviet Ideological Instrument, De Facto – A Prototype of Public Broadcasting

**ნათია ფოფხაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი

**ხათუნა კაჭარავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

**Natia Popkhadze**
PhD Researcher, Doctoral Educational Program in Mass Communication, Caucasus International University

**Khatuna Kacharava**
Professor, Faculty of Social Sciences and Humanities, Caucasus International University

**DOI:** https://doi.org/10.52340/gbsab.2025.56.02

**საკვანძო სიტყვები:** საზოგადოებრივი მაუწყებელი; საქართველოს სახელმწიფო ტელე-რადიოკომიტეტი; საზოგადოებრივი ლეგიტიმაცია; კულტურული სუვერენიტეტი; ნუგზარ ფოფხაძე.

**Keywords:** Public Broadcaster; Georgian State Television and Radio Committee; Public Legitimacy; Cultural Sovereignty; Nugzar Popkhadze.

## შესავალი:

პარადოქსულია, თუმცა, სსრკ-ში სწორედ ე.წ. ზასტოის ხანაში გახდა ტელევიზია საინტერესო და ვითარდებოდა, როგორც შემოქმედებითი საქმიანობის ახალი ფორმა (Померанцев, 2021). მიუხედავად იმისა, რომ „ბრეჟნევის ერა ასევე ტელევიზიის ერა იყო“ (Evans, 2010), სწორედ „ბრეჟნევის დროს მიაღწია პიკს საბჭოთა პროპაგანდამ“ (Sinitsyn, 2021). საკავშირო რესპუბლიკების ტელე-რადიოკომიტეტებს, მათ შორის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (სსრ) სახელმწიფო კომიტეტს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკითხებში, ორმაგი დაქვემდებარების პირობებში უწევდათ ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელება: მათ ერთდროულად აკონტროლებდა სსრკ-ს აღმასრულებელი ორგანო – სსრკ-ს ტელევიზიისა და

რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო (Совет Министров СССР, 1957). აღნიშნულ კომპლექსურ გარემოში, საკავშირო რესპუბლიკების მედია, კერძოდ, ქართული მედია „ქვეტექსტების მედია იყო, რომელიც ტოტალიტარული რეჟიმის, ტოტალიტარული სიყალბისა და ცენზურის პირობებში არსებობდა და დიდი რისკის ფასად ახერხებდა ეროვნული სულისკვეთების მქონე პროდუქციის შექმნას“ (ავტორთა ჯგუფი, 2016), იმ ჟურნალისტური პროდუქტების წარმოებას, რომელიც კონკრეტული რესპუბლიკის საზოგადოების ინტერესს და საჭიროებას აკმაყოფილებდა. შესაბამისად, ასრულებდა იმ დროს მსოფლიოში უკვე არსებული, თუმცა, საბჭოთა კავშირში გამოუცდელი კონცეფციის – საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნდამენტურ ვალდებულებას.

არამარტო საბჭოთა, არამედ, ტრანზიციული თაობის წარმომადგენლებმაც იციან გაზეთი „პრავდის“, როგორც გავრცელების მასშტაბი, ისე, მის ფურცლებზე ინფორმაციის გამოქვეყნების მნიშვნელობა. აღმოსავლეთ ევროპიდან წყნარ ოკეანემდე გადაჭიმული სახელმწიფოს მთავარ გაზეთ „პრავდას“ 10 მილიონიანი ტირაჟი ჰქონდა და ვრცელდებოდა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით – ნებისმიერი ინფორმაცია ერთდროულად აღწევდა ფაქტობრივად მთელ მოსახლეობამდე, რომელიც იმ დროისთვის 262 მილიონ ადამიანს შეადგენდა (Госкомстат СССР, 1989). ამასთან, „პრავდაში“ მასალა შემთხვევით ვერ და არ ხვდებოდა, მხოლოდ ის, რომელიც მმართველი, კომუნისტური პარტიის მიერ იყო შერჩეული – „გაზეთში დაბეჭდილ ერთ სტრიქონს შეეძლო გადაეწყვიტა ნებისმიერი საბჭოთა ადამიანის ან მთელი შრომითი კოლექტივის ბედი, იმ დროს როგორც ამბობდნენ, გადაეწყვიტა წიგნის, ფილმის, ოპერის ან ნახატის ბედი“ (Померанцев, 2021). „პრავდაში“ საკითხის გაჟღერება, მისი პოპულარობის და გავლენის გამო, იყო კონსტატაცია ანუ დირექტივა, რომ საქმე ეხებოდა გამორჩეულ მოვლენას მთელ საბჭოთა სივრცეში.

სწორედ ასეთ პლატფორმაზე, XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან ჩნდება სტატიები „საბჭოთა კავშირში ალბათ ერთადერთ გამონაკლისზე“ (თათარაშვილი, 2003) – საქართველოს სსრ-ს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკითხებში სახელმწიფო კომიტეტის მუშაობის საკითხებზე. 70-იანი და 80-იანი წლების მიჯნაზე, საქართველოს ტელევიზიამ „დაიწყო გადაცემები ისეთ თემებზე, რომლებიც იმ დროს აკრძალულად ითვლებოდა და საბჭოთა კავშირის ვერც ერთი ტელესტუდია მათ შესახებ ხმის ამოღებას ვერ ბედავდა“ (თათარაშვილი, 2003). მაშინ როცა „საბჭოთა კავშირში სექსი არ იყო“[1], საქართველოს ტელევიზია აკეთებდა გადაცემებს რესპუბლიკაში ქურდობის, მექრთამეობის, ნარკომანიის თუ პროსტიტუციის საკითხებზე. როგორც ცნობილია „ასეთი პირდაპირობით ტელევიზიამ უდიდესი

[1] „საბჭოთა კავშირში სექსი არ არის“ (რუს. В СССР секса нет) - ფრთიანად ქცეული ფრაზა, რომელიც 1986 წელს, სსრკ-სა და აშშ-ს შორის გამართული პირველი სატელევიზიო ტელეხიდის („ქალები ესაუბრებიან ქალებს“) დროს გაჟღერდა პასუხად კითხვაზე თუ როგორია სექსი საბჭოთა ტელევიზიაში.

ავტორიტეტი მოიხვეჭა საზოგადოების უფართოეს ფენებში, ხოლო ტელეპუბლიცისტიკის რეიტინგი ყველაზე პოპულარულ მხატვრულ პროგრამებსაც კი გაუტოლდა“ (თათარაშვილი, 2003). სხვა საბჭოთა ტელესტუდიებისგან განსხვავებით, გამოირჩეოდა საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა „მოამბეც“, რომლის სტრუქტურა ტიპური იყო, ატიპური იყო – შინაარსი. „საბჭოთა კავშირის ცენტრალური ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა „ვრემია“ მხოლოდ ქვეყნის წარმატებაზე საუბრობდა, „მოამბე“ არ ერიდებოდა ნაკლოვანებათა ჩვენებას“ (იბერი, 2016), ამასთან, იდეურ-მხატვრული ფორმის ექსპერიმენტების ჩატარებასაც (ლეონიძე, 1987). ნოვატორული იყო სატელევიზიო ბადის სტრუქტურირება, რომელსაც საფუძვლად ედო ტელემაყურებელთა სატელეფონო გამოკითხვების, შეხვედრების, წერილებისა და ანკეტების ანალიზი (იბერი, 2016) – ჩარჩო კლასიკური, შინაარსი და ფორმა კი განსხვავებული. ამის საუკეთესო მაგალითი იყო, იმ დროინდელი ტერმინოლოგიის გამოყენებით, ე.წ. მეჟპროგრამკა (თანამედროვე კლიპი) – „პოეზიის ხუთი წუთი“ და „საკვირაო გამოფენა“. უკანასკნელი „გადმოსაღებ მაგალითად“ შეაფასეს რუსმა მხატვრებმა, საფრანგეთის უკვდავთა აკადემიის მუდმივმა მდივანმა, არნო დ’ოტრივსმა კი – დიდებულ საქმედ არა მარტო ტელემაყურებლებისათვის, არამედ მხატვრებისთვისაც. „ასეთი გამოფენები ძალიან გაბედული და ძალიან მნიშვნელოვანია. პარიზშიც კი, რომელიც ხელოვანთა მექაა ასეთი პრივილეგიები არ გაგვაჩნია” (ხაზალია, 2009) - განაცხადა მან ინტერვიუში. საქართველოს ტელევიზიის სხვა მაგალითის გათვალისწინების შესახებ მოწოდება იყო „პრავდის“ პირველ გვერდზეც, ქართულ საზოგადოებაში პოპულარულ გადაცემათა ციკლზე „ათიათასად ზრდილობა“, რომელიც მაყურებელთა წერილების საფუძველზე შეიქმნა და ახალგაზრდებს ქცევის კულტურის საფუძვლებს უნერგავდა. „სსრკ-ს ტელე-რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა უფრო აქტიურად უნდა გაიზიაროს მიგნებები იმ საუკეთესო გადაცემების, რომლებიც ამდიდრებენ ბავშვებისთვის სატელევიზიო მაუწყებლობის არსენალს“ (Правда, 1981) – ასე ეწერა ეპოქის დოკუმენტში.

ვრცელი ანალიტიკური მასალა საქართველოს ტელევიზიის მუშაობის შესახებ, ფაქტობრივად წელიწადში ერთხელ ხვდებოდა „პრავდის“ ფურცლებზე. მაგალითად, 1980 წელს, 20 ნოემბერს, „პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტის, ცნობილი კინოკრიტიკოსის ანდრეი პლახოვის ავტორობით დაიბეჭდა სტატია სახელწოდებით „ცხოვრების კარნახით (Подсказано Жизнью)“. მასში ხაზგასმული იყო, რომ საქართველოს ტელევიზია მუშაობს რეალური პრობლემების გაშუქებითა და საზოგადოებასთან დიალოგის ფორმატით (Плахов, 1980). აღნიშნული საზოგადოებრივი მაუწყებლის პრინციპების კლასიკური ნიშანია. ანალოგიურად, 1981 წლის 18 იანვრის ნომერში, სტატიაში სახელწოდებით „ტელევიზია და ბავშვები (Телевидение и дети)“ აღნიშნულია, რომ კონკრეტულ გადაცემას საფუძვლად უდევს მაყურებელთა მიერ გამოხატული ინტერესის დაკმაყოფილება (Правда, 1981). ესეც საზოგადოებრივი მაუწყებლის პრინციპების ჩარჩოშია. 1983 წლის 1 აპრილს გამოქვეყნებულ სტატიაში სახელწოდებით „დიალოგი (Диалог)“, „პრავდის“ სპეციალური

კორესპონდენტი, ცნობილი ტელეწამყვანი ელენა ჩეკალოვა საუბრობს საქართველოს ტელევიზიის მიერ მაყურებელთან დიალოგის წარმოების, ანგარიშვალდებულებისა და უკუკავშირის მექანიზმზე (Чекалова, 1983), რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციის პირდაპირი გამოხატულებაა. მასალები იბეჭდებოდა სხვა, ასევე ცენტრალურ, გავლენიან და პოპულარულ, თუმცა, პროფილურ გამოცემებში, ისეთში როგორიც იყო „სავეტსკაია კულტურა (Советская Культура)“. მაგალითად, 1980 წლის 18 იანვარს, გამოქვეყნდა სტატია სახელწოდებით „მაყურებელი ითხოვს სიტყვას (Зритель Просит Слова)“ და ისევე, როგორც ყველა ზემომოყვანილ საგაზეთო მასალაში, ამ სტატიაშიც მთავარი აქცენტი გაკეთებული იყო იმაზე, თუ როგორ იყენებს საქართველოს ტელევიზია მაყურებელთან უკუკავშირს, ცდილობს რა დიალოგის წარმოებას აუდიტორიასთან და ტელევიზიის სადისკუსიო პლატფორმად ქცევას, რითაც საფუძველს უყრის მაყურებელთა სოციალური აქტიურობის ზრდას (Чекалова, 1980). ხაზგასასმელია, რომ პარტიული გაზეთები აღნიშნული მიღწევების პარტიის ნარატივში ინტეგრირებას ცდილობდნენ, განიხილავდნენ რა მას, როგორც საერთო საბჭოთა მიღწევად – იქმნებოდა წარმატებული, პროგრესული და იდეოლოგიურად გამართული ორგანიზაციის იმიჯი, რომელიც სრულად აკმაყოფილებდა კომუნისტური პარტიის მოთხოვნებს. რეალურად, სტატიებში დასახელებული გადაცემები „იბადებოდა მთავარი კორესპონდენტების – ტელემაყურებლების კარნახით“ (Попхадзе, 1982), სატელევიზიო ბადე კი დგებოდა, ძირითადად, არა პარტიის, არამედ საზოგადოების სურვილებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. შესაბამისად, დე იურე საქართველოს ტელევიზია წარმატებით ახორციელებდა კომუნისტური პარტიის დირექტივებს, ინოვაციური მეთოდების გამოყენებით ხელს უწყობდა მოქალაქეების კომუნისტურ აღზრდას, დე ფაქტო კი – აუდიტორიის სურვილების და საჭიროების კვლევებზე დაყრდნობით ამზადებდა გადაცემებს, რომელშიც „გულახდილად და დაუფარავად აუწყებდა მათ წარმატებასაც, გასაჭირსაც, სიძნელეებსაც, ამყარებდა იმ ურთიერთობას, რომელიც აუცილებელია სატელევიზიო მაუწყებლობის სისტემისთვის“ (ლეონიძე, 1987) ანუ ახერხებდა „ქვეტექსტების“ შექმნას და კრიტიკული ხმის გაჟღერებას ტოტალიტარულ გარემოში.

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ იმ დროინდელი საქართველოს ტელევიზია ასრულებდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციებს, რომელიც „ექვემდებარება საერთო-სახელმწიფოებრივ, საერთო-ეროვნულ ინტერესებს, საზოგადოების ინტეგრაციის, ამ საზოგადოების დამახასიათებელი ზნეობრივი პრინციპების, ტრადიციების, ღირებულებების და ა.შ. დამკვიდრების, ეროვნული კულტურის მხარდაჭერის, მოკლედ ყველაფერი იმის დაცვის და განვითარების დანიშნულებით, რაც ადამიანების მასას ხალხად, ერად აქცევს, საზოგადოებას თვითმყოფად სახეს აძლევს“ (თათარაშვილი, 2003). შესაბამისად, წინამდებარე კვლევის ობიექტად განვსაზღვრეთ საქართველოს სსრ-ს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკითხებში სახელმწიფო კომიტეტის სატელევიზიო მაუწყებლობის პოლიტიკა და პრაქტიკა, კერძოდ, 1979-1986 წწ., ვინაიდან 1979 წელს მის ხელმძღვანელად დაინიშნა

პროფესიონალი ჟურნალისტი და გამოცდილი საჯარო მოხელე, იმ დროინდელი ტერმინოლოგიით – სახელმწიფო მუშაკი ნუგზარ ფოფხაძე (Заря Востока, 1979) და მისი მმართველობის უწყვეტი ციკლი 1986 წლამდე ქმნის ერთიან კონცეპტუალურ ჩარჩოს, რაც საშუალებას იძლევა ტელე-რადიოკომიტეტის მუშაობა გაანალიზდეს ერთი ეპოქის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ მედიაპრაქტიკისა და სახელმწიფო მმართველობის გამოცდილების სინთეზი იდეალური იყო იმდროინდელი საქართველოს ტელევიზიის თავმჯდომარის პოზიციისთვის.

კვლევითი ნაშრომის მიზანია იმ ფაქტორების განსაზღვრა, რომელთა საშუალებით 1979-1986 წწ. კონტროლირებად სისტემაში მოხერხდა საზოგადოებრივი ინტერესის დაცვა. ამ უკანასკნელის სტრატეგიები ვლინდება კვლევის შედეგებით, ასევე, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების მეთოდები, რითაც დასტურდება საქართველოს ტელევიზიის მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციების შესრულება საბჭოთა პერიოდში. ნაშრომის ძირითადი საკვლევი შეკითხვებია: როგორი იყო 1979-1986 წწ. კომიტეტის პოლიტიკა? რა გზით ახორციელებდა ის საზოგადოებრივი ინტერესის დაცვას კონტროლირებად სისტემაში? რა განსაზღვრავდა ჟურნალისტური პრაქტიკის მიმართ მაყურებლის ნდობას? როგორი იყო პროგრამების სტრუქტურირება, კერძოდ, მისი ფორმა და შინაარსი? რა კავშირი იყო შინაარსობრივ პოლიტიკასა და პროფესიულ კომპეტენციას შორის?

კვლევა ეფუძნება გამოყენებისა და დაკმაყოფილების თეორიას, რომელიც ამტკიცებს რომ ადამიანები აქტიურად მოიხმარენ და ირჩევენ კონკრეტულ მედიაარხებსა და მედიაპროდუქტებს პირადი საჭიროებებიდან გამომდინარე (Blumler & Katz, 1974). აღნიშნული თეორიით აიხსნება 1979-1986 წწ. საქართველოს ტელევიზიის მიმართ მაყურებლის ინტერესი და ნდობა, რადგანაც მისი შინაარსი სრულად ასახავდა და ეხმაურებოდა ადგილობრივი საზოგადოების სოციალურ თუ კულტურულ ინტერესებს. კვლევის დროს დავეყრდენით საჯარო სფეროს თეორიას, რომლის თანახმად, მედია შეიძლება გახდეს საჯარო დისკუსიისა და მსჯელობის სივრცე, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე (Habermas, 1991). აღნიშნული თეორიით აიხსნება, როგორ იქცა საქართველოს ტელევიზია სადისკუსიო პლატფორმად ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, სადაც შესაძლებელი იყო პრობლემების საჯარო გაჟღერება და ღირებულებების განმტკიცება. ასევე, დავეყრდენით საზოგადოებრივი ღირებულების თეორიას, რომელიც ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლეგიტიმურობა განისაზღვრება მათი უნარით შექმნან მთლიანი საზოგადოების ინტერესებზე ორიენტირებული ღირებულებები და ხელი შეუწყონ ეროვნული თვითმყოფადობის განვითარებას (Moore, 1995). აღნიშნული თეორიით აიხსნება, თუ როგორ ახერხებდა საქართველოს ტელევიზია საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციის შესრულებას, რადგანაც უზრუნველყოფდა ეროვნული სულისკვეთების შენარჩუნებას ცენზურის პირობებში. გარდა ჩამოთვლილთაგან, კვლევა ასევე ეფუძნება კონსტრუქციული ჟურნალისტიკის მიდგომას, რომლის

პრინციპია ჟურნალისტური პროდუქტი იყოს არა მხოლოდ ინფორმაციული, არამედ შთააგონებდეს საზოგადოებას აქტიურობისკენ და ქმედებისკენ, შესაბამისად, მიზანი არის არა მხოლოდ პრობლემების გაშუქება, არამედ გადაწყვეტის გზების წარმოჩენა (Gyldensted, 2015). აღნიშნული მიდგომა ბოლო წლებში ჩამოყალიბდა აკადემიურად და მკვლევრების მიერ ხშირად მოიაზრება, როგორც საუკეთესო პრაქტიკა საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის. ის რომ საქართველოს ტელევიზიის რიგი გადაცემები აღნიშნულ პრაქტიკას ახორციელებდა, ამყარებს ჩვენს ჰიპოთეზას, რომ საქართველოს სსრ-ს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკითხებში სახელმწიფო კომიტეტი 1979-1986 წწ. საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციას ითავსებდა.

კვლევის მიზნების მიღწევა შესაძლებელი გახდა 1979-1986 წწ. საქართველოს ტელევიზიის საქმიანობის შესახებ არსებული აკადემიური ლიტერატურის და განსაზღვრული დროის პერიოდიკის, მათ შორის, რუსულენოვანი გამოცემებისა და საარქივო დოკუმენტების შესწავლითა და თემატური ანალიზით, ასევე, 1979-1986 წწ. საქართველოს ტელევიზიაში საკვანძო პოზიციებზე მყოფი პირების მემუარული წყაროებისა და ნარატივების ინტერპრეტაციით.

ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას განსაზღვრავს მისი ფოკუსი. 1979-1986 წწ. საქართველოს ტელევიზიის შესახებ თითქმის არ არსებობს მონოგრაფიული ან სპეციფიკური ანალიზი, შესაბამისად, წინამდებარე კვლევა ავსებს მნიშვნელოვან სიცარიელეს ქართულ აკადემიურ ლიტერატურაში მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით, რაც ნაშრომის სიახლედ კვალიფიცირდება. ამასთან, კვლევა წარმოადგენს ისტორიულ არგუმენტს, რომ საქართველოში საზოგადოებრივი მაუწყებლობის იდეას ადგილობრივი ისტორიული პრაქტიკა უდევს საფუძვლად. აღნიშნული ხელს შეუწყობს თანამედროვე საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციის გაძლიერებას, დამატებით, იმის გაანალიზებას თუ როგორ შეიძლება განახორციელო საზოგადოებრივი მისია პოლიტიკური ზეწოლის და შეზღუდული ავტონომიის პირობებში. ნაშრომი განკუთვნილია როგორც მედიამკვლევრებისთვის, ისე პრაქტიკოსებისთვის და შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას სტრატეგიების შესამუშავებლად იმ გამოწვევებისთვის, რომელიც დაკავშირებულია მედიის საზოგადოებრივ მისიასთან, განსაკუთრებით, აუდიტორიის კრიტიკული როლის კონტექსტში. გარდა ამისა, ნაშრომი გარკვეულწილად წარმოადგენს მეთოდოლოგიურ ბაზას მომავალი კვლევებისთვის.

**დისკუსია:**

მაუწყებლობის დაარსების დღიდან, რადიო და სატელევიზიო პრაქტიკა ძირითადად სამ მოდელზე დგას – სახელმწიფო, კომერციული და საზოგადოებრივი მაუწყებლობა, რომლებსაც ერთმანეთისგან განსხვავებული ფილოსოფია აქვთ. კომერციული მოდელის ძირითადი მიზანი მოგების მიღებაა,

სახელმწიფოსი – დე იურე მისი ინტერესების და საზოგადოებრივი პოლიტიკის წარმოჩენა და მხარდაჭერა, თუმცა, „სახელმწიფო ტელევიზიის მაგალითია საბჭოთა ტელემაუწყებლობა, როდესაც ხელისუფლება სრულად აკონტროლებდა ყველა მედიასაშუალებას“ (ავტორთა ჯგუფი, 2016), შესაბამისად, დე ფაქტო ტელე-რადიოპროდუქტებიც ტოტალიტარული რეჟიმისთვის მისაღები შინაარსის მატარებელი იყო. საბჭოთა ხელისუფლება მედიას „თავის საკუთრებად, თავისი ინტერესების გამტარებელ ინსტრუმენტად მიიჩნევდა, თუმცა, საჯაროდ აცხადებდა მას საერთო-სახალხო, საერთო-ეროვნული ინტერესების გამომხატველად“ (თათარაშვილი, 2003). სახალხო და ეროვნული ინტერესების გამოხატვაა სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებლობის მოდელის ფუნქცია, როდესაც მაუწყებელი „საზოგადოებრივი ფასეულობების მწარმოებელი საზოგადოებრივი სამსახურია“ და მისი ეთერი გაჯერებულია საზოგადოების ინტერესების ამსახველი პროგრამებით (იბერი, 2018)”.

“საზოგადოებრივი მაუწყებლის საუკეთესო მოდელი შექმნა დიდმა ბრიტანეთმა” (ავტორთა ჯგუფი, 2016), ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაცია “ბი-ბი-სი” (British Broadcasting Company – BBC), რომლის ფუნქცია მკაფიოდ იკითხება მის დეკლარირებულ მისიაში: "ვიმოქმედოთ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ვემსახუროთ ყველა აუდიტორიას მიუკერძოებლად, მაღალი ხარისხის, გამორჩეული პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდებით, რომლებიც ახდენენ ინფორმირებას, განათლებას და გართობას" (BBC, 2024). სწორედ აღნიშნული განაცხადი წარმოადგენს სტრუქტურულ საფუძველს იმის დასამტკიცებლად, რომ 1979-1986 წწ. საქართველოს სსრ-ს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკითხებში სახელმწიფო კომიტეტი იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის პროტოტიპი.

**საზოგადოებრივი ლეგიტიმაცია ცენტრალური კონტროლის პირობებში: აუდიტორია უპირველეს ყოვლისა**

1979 წელი საქართველოს ტელევიზიისთვის მნიშვნელოვანი წელი იყო, იმდენად, რამდენადაც 16 აპრილიდან ამოქმედდა მაუწყებლობის ახალი ბადე,

რომელსაც საფუძვლად დაედო მაყურებელთა წერილების, ანკეტებისა და გამოკითხვის ანალიზი (იბერი, 2016). ამას წინ უძღოდა 1979 წლის 23 თებერვლის ყოველკვირეულ გაზეთ-პროგრამაში „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი!“ გამოჩენილი ანკეტა – „როგორია თქვენი აზრი?“ და ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შეიქმნა სამეცნიერო ცენტრი, რომლის მიზანი იყო შეესწავლა „თუ ვინ, როდის, რას და როგორი აქტივობით უყურებს და უსმენს, რამდენად აღწევს ესა თუ ის გადაცემა დასახულ მიზანს“ (ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი!, 1979). აღნიშნული ფორმულა ემსახურებოდა ტელევიზიისა და რადიოს მუშაობის ეფექტიანობის შეფასებას, რომლითაც ზოგადად განისაზღვრებოდა, თუ რამდენად უპასუხებდა, რამდენად აკმაყოფილებდა ტელე და რადიოგადაცემები აუდიტორიის მოთხოვნებს. ანკეტა მაყურებლებს საშუალებას აძლევდა შეეფასებინათ გადაცემები, კერძოდ, დაესახელებინათ კვირის საუკეთესო სამი გადაცემა და ისინიც, რომლებიც არ მოეწონათ, ასევე, წერილობით ან ტელეფონით შეეტყობინებინათ შენიშვნები, სურვილები და წინადადებები მთლიანად კვირის ან ცალკეული დღეების სატელევიზიო პროგრამის შესახებ. დამატებით, ტელე-რადიოკომიტეტი მაყურებლებს სისტემატურ თანამშრომლობასაც სთავაზობდა. აღსანიშნავია, რომ ანკეტა ასევე ითვალისწინებდა სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემების მიწოდებას: სქესის, ასაკის, ეროვნების, განათლების, საქმიანობისა და პროფესიის შესახებ. პირველივე თვეში კომიტეტმა ტელემაყურებლების 6000-მდე გამოხმაურება მიიღო (იბერი, 2016), 1979 წლის მე-14 ნომრით კი მკითხველს ეცნობა, რომ მათი „წინადადებების გათვალისწინებით სატელევიზიო პროგრამებში ცვლილებებია შეტანილი“ (მჟავანაძე, 2005).

მაყურებელთა ინტერესებისა და საჭიროებების გასაზომად, როგორც ითქმის ხოლმე, პულსის მუდმივ რეჟიმში შესაგრძნობად, 1979 წლიდან ტარდებოდა პანელური გამოკითხვები; მეტიც, იმავე წელს, აუდიტორიის განწყობების სრულფასოვნად შესასწავლად, გაზეთ-პროგრამაში გაჩნდა შეფასების გვერდი, “გაზეთში დაბეჭდილ ტელეპროგრამაში, მაყურებელს შეეძლო, ყოველი გადაცემის გასწვრივ სპეციალურ სვეტში ჩაეწერა შეფასების ნიშანი” (მჟავანაძე,

2005). აუდიტორიის კვლევის კიდევ მეტად სრულყოფისთვის, გაჩნდა ტელე-რადიოდღეებიც. “80-იანი წლებიდან გავრცელდა თავად რედაქციების გასვლა ცალკეულ კოლექტივსა და რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში“ (იბერი, 2016). ასევე, მაყურებლის უკუკავშირის მიღებას ემსახურებოდა ექსპერიმენტული გადაცემა “როგორია თქვენი აზრი?”, რომელიც ეთერში გადიოდა ამა თუ იმ პრობლემური გადაცემის შემდეგ (Попхадзе, 1982).

გარდა მაყურებლის ინტერესებისა და საჭიროებების კვლევისა, 80-იანი წლების დასაწყისის საქართველოს ტელევიზიის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი იყო მაყურებელთა ჩართვა ტელეპროგრამების მომზადებაში. მაგალითად, ზემოხსენებული გაზეთ-პროგრამის 1985 წლის 50-ე ნომერში ფიქსირდება მაყურებლისადმი მიმართვა: „ნუ დავარღვევთ ტრადიციას და ერთად მოვიფიქროთ 1986 წლის პროგრამა“ (მჟავანაძე, 2005). ასევე, კომუნიკაციური ჯაჭვის მეორე ბოლოზე მყოფი რეციპიენტის გასააქტიურებლად, საქართველოს ტელევიზიის პრაქტიკაში იყო ისეთი ფორმები, როგორებიცაა „სოფლის სატელევიზიო ყრილობები და მუშათა სატელევიზიო შეკრებები, ტელემიტინგები და აუქციონები, ’სატელევიზიო მისაღები’ და ’სტუდია დიალოგი’, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლები პირისპირ დგებოდნენ აუდიტორიის წინაშე (თათარაშვილი, 2003).

თანამედროვე მედია ეკოსისტემაში გადაწყვეტილებათა მიღების მთავარი კრიტერიუმი რეიტინგია, საბჭოთა ჟურნალისტიკაში აღნიშნული ეყრდნობოდა მაყურებელთა წერილებს, რომელთა სიმრავლეც მედიაორგანოს ეფექტიანი მუშაობის არგუმენტად ითვლებოდა (იბერი, 2018). საქართველოს ტელე-რადიოკომიტეტი ასიათასობით წერილს იღებდა ყოველწლიურად. მაგალითად, 1981 წელს, მხოლოდ ტელემაყურებლებისგან მაუწყებლობამ მიიღო 115000 წერილი, მათ შორის, კონკრეტული წინადადებები (Попхадзе, 1982). ის, რომ მაყურებელთა უკუკავშირი პრიორიტეტული იყო საქართველოს ტელევიზიის მაშინდელი მენეჯმენტისთვის და ითვალისწინებდა მათ გადაცემების დაგეგმვაში, დასტურდება 1982 წელს ტელე-რადიოკომიტეტის საინფორმაციო-

გამოთვლითი ცენტრის ჩამოყალიბებით და მისი მიზნით. კერძოდ, ცენტრის დირექტორის, ილია ფერაძის განცხადებით „კომიტეტში ყოველთვიურად რადიოსა და ტელევიზიის მაყურებლებისგან შემოდიოდა ათიათასობით წერილი, სადაც იყო შთაბეჭდილებები და წინადადებები გადაცემებზე. საჭირო იყო მათი აღრიცხვა და რედაქციების მათზე რეაგირების კონტროლი. ამ მიზნით დამუშავდა საკმაოდ რთული პროგრამული გადაწყვეტა – წერილების დავალებათა შესრულების კონტროლის ავტომატური სისტემა“ (ი. ფერაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025.21.09). გარდა ამისა, მისი განცხადებით, მოხდა ესტონეთის მაგალითის გადმოღება, რადიოს გამოთვლითი ცენტრის მიერ დანერგილი რადიოკონცერტების შედგენის ავტომატური პროგრამა. იმ წლებში, ცენტრის თანამშრომლებმა, რომლებიც ძირითადად ტექნიკური განათლების სპეციალისტები იყვნენ, დაიწყეს შემოქმედებითი დარგის თავისებურებების შესწავლა და პროგრამირების ავტომატური სისტემების შექმნა მაყურებელთა სურვილებსა და საჭიროებებზე დაყრდნობით.

1982-1986 წწ. პროგრამების გენერალური დირექტორის ედნარ გიორგობიანის განცხადებით, პირველი არხის პროგრამაში, მოცემულ წლებში დაახლოებით 100 გადაცემა იყო: ზოგი ყოველდღიური, ზოგი დღეში რამდენჯერმე – საინფორმაციო, ზოგი კვირაში ერთხელ, ზოგი თვეში ორჯერ და ა.შ. ეს სისტემური სამაუწყებლო ბადე დგებოდა აუდიტორიის კვლევაზე დაყრდნობით, შესაბამისად, გადაცემების რაოდენობაც – 100 – შემთხვევითი არ იყო. „რასაკვირველია, იყო გადაცემები, რომლებიც საჭირო და სავალდებულო იყო იმ სახელმწიფო სისტემისთვის, რაც იყო სახელმწიფო დაკვეთა. ძირითადად, ეს იყო თემები, რაზეც იდგა ქვეყანა მაშინ: სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, ასევე, სოციალური საკითხები, რასაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. თუმცა, შეფარდება იყო, დაახლოებით, 70/30-ზე: 70% ის, რაც მაყურებლის ნება-სურვილი იყო. სრულად იყო დაკმაყოფილებული, მაგალითად, სპორტის გულშემატკივრების ინტერესი, რადგან პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა სპორტის პრაქტიკულად ყველა სახეობის შეჯიბრება: ფეხბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, წყალბურთი და ა.შ. ...ხალხი სპორტსმენებს ცნობდა და

ზეპირად იცოდა მათი სახელები და გვარები, სწორედ ტელევიზიის საშუალებით“ (ე. გიორგობიანი, პირადი კომუნიკაცია, 2025.21.09). მისივე ინფორმაციით და გაზეთ-პროგრამა „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი!“-ზე დაყრდნობით, ე.წ. პრაიმ ტაიმში, 20:00 საათზე იწყებოდა „მოამბე“, 22:00 საათზე მიმდინარეობდა ცენტრალური ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემის ტრანსლაცია, მათ შორის და „ვრემიას“ შემდგომ მაყურებლისთვის სასურველი გადაცემები.

1985-1986 წწ. „მოამბის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური განყოფილების უფროსი რედაქტორის, ოთარ შაორშაძის განცხადებით, 1979-1986 წწ. ჩაეყარა საფუძველი მაუწყებლის საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულებას, რადგან მოხდა ჟურნალისტიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა და საზოგადოების ინტერესების გატარება. მისი შეფასებით, მოცემულ წლებში საქართველოს ტელევიზია არ აწარმოებდა მხოლოდ მოვლენებზე მიბმულ ჟურნალისტიკას, არამედ იყო სარედაქციო დაგეგმარება 3 თვის ხანგრძლივობით და პერსპექტიული გეგმით – 1 წლის მანძილზე; თემების შერჩევა ხდებოდა მოვლენების მიხედვითაც და ასევე იმას ეფუძნებოდა, რაც იყო აქტუალური; მოენეების მოწოდებული ინფორმაცია მოწმდებოდა, რადგან ორიენტაცია იყო შედეგზე, ამასთან, მაუწყებლის სტრუქტურა შედგებოდა ყველა იმ რედაქციით, რაზეც იდგა საზოგადოების ინტერესი. „რა თქმა უნდა, იყო კომუნისტური პარტია და შესაბამისი მმართველობა... თუმცა, მთავარი იყო შედეგი – ჟურნალისტური საქმიანობის შედეგი. როცა კეთდებოდა კრიტიკული სიუჟეტი, ეთერში გასვლის შემდეგ მისი ტრანსკრიპტი ეგზავნებოდა კრიტიკულ სიუჟეტში ხსენებულ უწყებებს და მათ მაკონტროლებლებს, რომლებსაც რეაგირება უნდა მოეხდინათ პრობლემაზე. მერე ვამოწმებდით, მოგვარდა თუ არა, ვკითხულობდით როდის მოგვარდებოდა და რეაგირებას ვითხოვდით. ეს არის ჟურნალისტიკა და ჟურნალისტიკა თავის დანიშნულებას ასრულებდა – მოეტანა საზოგადოებისთვის სიკეთე“(ო.შაორშაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025.21.09).

1980-1986 წწ. ინფორმაციის მთავარი რედაქციის სპეციალური კორესპონდენტის, მერაბ ხაჩიძის შეფასებით, იმ დროინდელი ტელევიზია დე იურე იყო კომუნისტური პარტიის რუპორი, დე ფაქტო – ტელევიზია, რომელიც საზოგადოების დაკვეთას ასრულებდა. „1979 წელს ტელევიზიაში გაიხსნა წერილების განყოფილება და საზოგადოებრივი მისაღები, ტელევიზიის პირველ სართულზე, შესასვლელში. ეს დაედო საფუძვლად სოციალური თემების წამოწევას სატელევიზიო ეთერში, რომელიც მანამდე არსად არ კეთდებოდა. ტაბუირებულ თემებზე საუბარს, საბჭოთა კავშირში, მხოლოდ საქართველოს ტელევიზია ბედავდა და რაც მთავარია, ამას ყველაფერს ვაკეთებდით საბჭოთა ხელისუფლების სახელით. როდესაც ძალიან მძიმე თემას ვაშუქებდით, ასეთ ხერხს მივმართავდით - ლენინის ციტატით ვამთავრებდით სიუჟეტს ან მივუთითებდით პოლიტბიუროს დადგენილებას და ხმას ვეღარავინ იღებდა. პრობლემური თემების წამოწევამ ტელევიზიის ავტორიტეტი ისეთ მაღალ დონეზე აწია, რომ არავინ არსად აღარ დადიოდა საჩივლელად, ყველა მოდიოდა ტელევიზიაში პრობლემის მოსაგვარებლად“. მისი მონათხრობით, გადაცემა „ბიუროკრატთა გალერეის“ იდეა დაიბადა მაშინ, როდესაც მსახიობმა იპოლიტე ხვიჩიამ ტელევიზიის ხელმძღვანელობას მიმართა შუამდგომლობის თხოვნით, აღედგინათ მისივე სატელეფონო ხაზი, რომელიც სატელეფონო კვანძებზე პასუხისმგებელმა თანამდებობის პირმა სხვა მაღალი რანგის ჩინოვნიკის ტელეფონზე გადააყენა. ეს თანამდებობის პირი აღმოჩნდა „ბიუროკრატთა გალერეის“ პირველი გმირი. „გადაცემამ ფურორი მოახდინა, რადგან საზოგადოებამ აღმოაჩინა რომ ჩინოვნიკიც შეიძლება იყოს დამნაშავე, ის ვინც საბჭოთა კავშირში ხელშეუხებელი იყო. ტელევიზიამ გააკეთა განაცხადი, რომ სახელმწიფოში ხელშეუხებელი არავინ არის, დამნაშავე არის დამნაშავე იქნება ეს რიგითი თუ მაღალი რანგის თანამდებობის პირი (მ. ხაჩიძე, პირადი კომუნიკაცია, 2025.21.09).

პრინციპი – „აუდიტორია არის ყველაფრის სათავე, რასაც ჩვენ ვაკეთებთ“ (BBC, 2024) წარმოადგენს BBC-ის ღირებულებათა სისტემაში პირველ და უმთავრესს. შესაბამისად, ზემოთ წარმოდგენილი ფაქტები ცხადყოფს, რომ 1979-1986 წწ.

საქართველოს ტელე-რადიოკომიტეტი აკმაყოფილებდა საზოგადოებრივი ლეგიტიმაციის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნებს: პროგრამირების საფუძველი იყო აუდიტორიის ინტერესები, რაც მიიღწეოდა მათი უკუკავშირისა და აქტივობის გათვალისწინებით, შედეგზე ორიენტაციას კი ტელევიზიისთვის მოჰქონდა საზოგადოებრივი ნდობა. ყოველივე ეს აქცევდა 1979-1986 წწ. საქართველოს ტელე-რადიოკომიტეტს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროტოტიპად.

## კულტურული სუვერენიტეტი ტოტალიტარულ სისტემაში: სამშობლო უპირველეს ყოვლისა

1979 წელი საქართველოს ტელევიზიისთვის მნიშვნელოვანი წელი იყო სხვა მიზეზითაც. განხორციელდა რეფორმა, რომლის შედეგად, შეიქმნა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი რედაქცია – ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია – ორი სტრუქტურული ერთეულით: ხალხური მუსიკისა და ქორეოგრაფიის ჯგუფი, ასევე, ხალხური ფოლკლორისა და გამოყენებითი ხელოვნების განყოფილება, რომლებიც მოიცავდნენ ხალხური შემოქმედების უკლებლივ ყველა სფეროს. „ეკრანი ეთმობოდა ხალხური მუსიკისა და ცეკვის ოსტატებს, სახალხო მთქმელებს ფოლკლორისტებს, ეთნოგრაფებს, ხალხური შემოქმედების მკვლევრებსა და სპეციალისტებს (იბერი, 2016). რედაქციის მიერ მომზადებული, მათი გადაცემებისთვის დამახასიათებელი საკონცერტო-სანახაობითი ფორმის ერთ-ერთი გადაცემით „მესტვირული პოეზიის საღამოთი“, რომელიც ფილარმონიაში გაიმართა 1979 წლის 4 ივნისს, დიდი ხნის დავიწყებული ჟანრი გაცოცხლდა და ფართო საზოგადოება პირველად ეზიარა, მაგალითად, ძირითადად აჭარაში გავრცელებულ საკრავს – ჭიბონს (იბერი, 2016). მსგავსმა გადაცემებმა აუდიტორიას გაუღვიძა ინტერესი ეროვნული ღირებულებების მიმართ, ტელევიზიას კი დამატებითი პასუხისმგებლობა დააკისრა, რომლის შედეგადაც, მაგალითად, 1979-1986 წწ. საქართველოს სსრ-ს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკითხებში სახელმწიფო კომიტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდა ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრი „კელაპტარი“, 23-კაციანი ფოლკლორული გუნდი თემურ ქევხიშვილის ხელმძღვანელობით თუ ანსამბლი

„ჟურნალისტი“ – შემდგომში „ქართული ხმები“. ედნარ გიორგობიანი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ „მანამდე, რა თქმა უნდა, კეთდებოდა გადაცემები ხალხურ შემოქმედებაზე, საქართველოს სხვადასხვა კუთხის შემოქმედებაზე, მაგრამ ეს გახდა სისტემური. რედაქცია უზრუნველყოფდა, რომ რომელიმე კუთხე ყურადღების მიღმა არ დარჩენილიყო. ამ გადაცემებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა და ძალიან მნიშვნელოვანი იყო მის საფუძველზე შექმნილი საფონდო ჩანაწერების თვალსაზრისითაც“(ე. გიორგობიანი, 2025). გარდა ზემოაღნიშნული მუსიკალური კოლექტივებისა, კომიტეტის ბაზაზე 1985 წლის მდგომარეობით, ფიქსირდებოდა კიდევ რამდენიმე მუსიკალური კოლექტივი: სიმფონიური ორკესტრი, საესტრადო-სიმფონიური ორკესტრი გივი გაჩეჩილაძის დირიჟორობით, რომლის ერთ-ერთი სოლისტი იყო მომღერალი თამარ გვერდწითელი, ასევე, ვაჟთა ვოკალური ოქტეტი და „ცისფერი ტრიო“ (იბერი, 2016). ოთარ შაორშაძის აზრით, სიმფონიური-საესტრადო ორკესტრის შექმნის მთავარი მიზანი  იყო „გარდა კლასიკური ნაწარმოებებისა, ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები შეესრულებინა“ (ო.შაორშაძე, 2025).

1979-1986 წწ. საქართველოს სსრ-ს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკითხებში სახელმწიფო კომიტეტი თავის საზოგადოებრივ დანიშნულებათაგან ერთ-ერთის, განათლების უზრუნველსაყოფად, 1982-1984 წწ. ეთერში გადასცემდა ხალხური სიმღერის გაკვეთილებს რუბრიკით „სიმღერის შესწავლა“, ასევე, მაყურებლებს მუსიკას ასწავლიდა კომპოზიტორი და დირიჟორი ჯანსუღ კახიძე (იბერი, 2016). მაყურებელთა ამ კატეგორიის საჭიროებებზე საპასუხო ტელეპროდუქტებიდან, თვალსაჩინო მაგალითი იყო ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისთვის შექმნილი გადაცემები, რომელიც მიჰყავდა  ფილოლოგ თამაზ კვაჭანტირაძეს. საზოგადოება დღესაც თანხმდება, რომ „არც მანამდე და არც შემდეგ თამაზ კვაჭანტირაძის ძალის ფილოლოგი – უბადლო მცოდნე და მაყურებლამდე მიმტანი ქართული ლიტერატურის, ტელევიზიის ეკრანს არ ჰყოლია“ (ლეონიძე, 2002). 1980 წელს გადაცემა ყოველკვირეულად გადიოდა ეთერში ტელეკურსის სახით, სახელწოდებით „ქართული ენა და ლიტერატურა“, რომელიც რეალურად იყო „მეცნიერის პატრიოტული სულისკვეთებით

გამსჭვალული საუბარი ახალგაზრდებთან, რომელშიც ენისა და ლიტერატურის საკითხები მჭიდროდ უკავშირდებოდა თანამედროვეობაში მარადიული სულიერი ღირებულებების გააზრებას“ (იბერი, 2016). გარდა ამისა, 1982 წლის ივნისში, გაზეთ-პროგრამაში „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი!“, მაყურებელს აცნობეს, რომ, ხალხური შემოქმედების მთავარმა რედაქციამ განიზრახა აღადგინოს „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად ცოდნის ტრადიცია და „უახლოეს მომავალში მოამზადოს სატელევიზიო გადაცემა „შეჯიბრი ვეფხისტყაოსნის ზეპირად ცოდნაში“ (ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი!, 1982). ედნარ გიორგობიანის მოგონებით, ეს იყო „ერთი შეხედვით მარტივი ფორმა: სტუდიაში თამაზ კვაჭანტირაძესთან ერთად იჯდა რაიონიდან – და ეს ხაზგასმულად კეთდებოდა – ჩამოსული მოსწავლე და ზეპირად კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს“. გადაცემა ვეფხისტყაოსნის პოპულარიზაციას ემსახურებოდა და ამასთან მოტივაციას აძლევდა ახალგაზრდებს, რომ წაეკითხათ ის“ (ე. გიორგობიანი, 2025).

ასევე, 1979-1982 წწ. ყოველთვიურად ეთერში გადიოდა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ გადაცემა „რა ენა წახდეს“, რომელიც მიჰყავდა ენათმეცნიერს ლევან ღვინჯილიას (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, 2012). აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში საქართველოს ტელე-რადიოკომიტეტი ქართული ენის სიწმინდეზეც ზრუნავდა, რაც დასტურდება 1982 წლის 28 ოქტომბრით დათარიღებული, ტელევიზიის კოლეგიის სხდომის განსახილველ საკითხებში აღნიშნული დადგენილების პროექტით: „საქართველოს ტელე-რადიოგადაცემათა ენისა და სტილის შესახებ“ (საქტელერადიო კომიტეტი, 1982). მერაბ ხაჩიძე იგონებს, რომ იმ დროს ტელევიზიაში „არასწორი ქართულისთვის სასჯელი იყო სამსახურიდან გაშვება. ლიტერატურის მთავარი რედაქცია თავმჯდომარემ, პირდაპირი მნიშვნელობით, დაშალა ერთი არასწორი ტიტრისთვის - კონფერენციის ნაცვლად ეწერა „კომფერენცია“ (მ. ხაჩიძე, 2025).

საზოგადოებრივ დანიშნულებათაგან კიდევ ერთის, გართობის უზრუნველსაყოფად, მაგალითად, კინოჩვენებით, 1981 წლის 1-ელ იანვარს ეთერში გავიდა გადაცემა "ილუზიონი" (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, 2012), რომელიც მაყურებელს მსოფლიო კინოს ნამუშევრებს სთავაზობდა. აღნიშნული გადაცემა დე იურე ფილმის მიმოხილვა იყო, დე ფაქტო – ფილმის ჩვენება. ედნარ გიორგობიანმა აღნიშნა, რომ იმ დროს ტელევიზიაში ცენზურის პრობლემის გარდა „ვერ ვუშვებდით ფილმს, რომლის საავტორო უფლება საბჭოთა კავშირს შეძენილი არ ჰქონდა. ამიტომ, მოიძებნა ფორმა, რომ გაგვეშვა ფილმის ფრაგმენტები. ეს ფორმა ლეგალიზებული იყო და შესაძლებელს ხდიდა ფილმების ეთერში გაშვებას. ამას მიგვიხვდნენ კიდეც. „პრავდაში“ გაგვლანძღეს და საყვედურიც მოგვცეს, თუმცა, მარტივად არ ვნებდებოდით“ (ე. გიორგობიანი, 2025). გადაცემის წამყვანის, კინომცოდნე ოთარ სეფიაშვილის განცხადებით, „გადაცემის დახურვა რამდენჯერმე სცადეს, მაგრამ იმის გამო, რომ როგორც საქართველოს, ასევე ცენტრალური ტელევიზია საპროტესტო წერილებმა ლამის წალეკა, „ილუზიონის“ დახურვაზე უარი თქვეს“ (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, 2012).

1979-1986 წწ. გაზეთ-პროგრამაში „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი!“ ვხვდებით ანონსს გადაცემის სახელწოდებით „გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“, რომელიც ისტორიული ძეგლების მდგომარეობას აცნობდა მაყურებელს; მაგალითად, 1981 წლის 2 სექტემბერს, მცხეთის ჯვარზე მაყურებლებს ესაუბრებოდა ხელოვნებათმცოდნე ირაკლი ციციშვილი (ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი!, 1981); გადაცემათა ეს ციკლი „ყველა ასაკის ტელემაყურებლისთვის იყო განკუთვნილი და მიზნად ისახავდა წინაპართა კულტურული მონაპოვრისადმი პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივებას (მესხიშვილი, 1999). გარდა ამისა, ამ წლებში დაარსდა ლიტერატურული ტელეჟურნალი „ხომლი“, ზემოთ უკვე ხსენებული გადაცემა „საკვირაო გამოფენა“, „ათიათასად ზრდილობა...“, „სად როგორ მოვიქცეთ?“, საქართველოს რადიოს ანალოგი სატელევიზიო გადაცემა „პოეზიის ხუთი წუთი“, რომელიც ძირითადად ქართველი პოეტების შემოქმედებას აცნობდა მაყურებელს და სხვა,

ეროვნული სულისკვეთების მქონე სატელევიზიო პროდუქტები. ხაზგასასმელია, რომ „საქართველოს ტელევიზიამ, პირველმა დაიწყო საუბრები რელიგიის ისტორიაზე“ (მესხიშვილი, 1999).

აღსანიშნავია, რომ 1979 წლის მაისში დაარსდა სატელევიზიო თეატრალური პროგრამების მთავარი რედაქცია „სატელევიზიო თეატრი“ (იბერი, 2016). ედნარ გიორგობიანის მოგონებით, „დაახლოებით 300 ქართული თეატრის სპექტაკლის ჩაწერა მოხერხდა იმ წლებში და ნებისმიერ სოფელში მცხოვრებს შეეძლო ნებისმიერი სპექტაკლის ნახვა, რაც აღარ იყო პრივილეგია მხოლოდ ქალაქის მოსახლეობისთვის“ (ე. გიორგობიანი, 2025). ასევე, განსაზღვრული წლების გაზეთ-პროგრამის „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი!“ ანალიზი ცხადყოფს, რომ პროგრამაში დიდი ადგილი უჭირავს სატელევიზიო კინო-წარმოებას და საესტრადო მუსიკას. აღნიშნული მასალების ვიდეოფირზე აღბეჭდვამ უზრუნველყო ის, რომ „ფილმების, სპექტაკლების, მუსიკალური ვიდეოჩანაწერების უდიდეს ფონდს ფლობს ყოფილი „საქართველოს ტელევიზია“ (იბერი, 2016).

1979-1986 წწ. ტელე-რადიოკომიტეტის კოლეგიის ოქმების ანალიზი აჩვენებს, რომ, მაგალითად, ტელეფილმების წარმოების 1981 წლის გეგმაში, 33 ფილმიდან უმრავლესობა ეროვნული სულისკვეთების შინაარსის იყო, მაგალითად, დოკუმენტური ფილმი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილსა და ელგუჯა ამაშუკელზე, სიუჟეტური ფილმი პიანისტ ლექსო თორაძეზე, აკადემიკოს ბერიტაშვილზე და მის სამეცნიერო სკოლაზე, არქიტექტორ ლადო მესხიშვილის შემოქმედებაზე, ასევე, ფილმი სახელწოდებით „უძველესი ხელნაწერების კვალდაკვალ“ აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობის შესახებ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფილმი მწერალ ნოდარ დუმბაძესა და თსუ რექტორზე ვაჟა ოკუჯავაზე (საქტელერადიო კომიტეტი, 1981). გარდა ამისა, 1980 წლის კოლეგიის ოქმებში, რომლის თანახმად განიხილებოდა „საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებში ვ.ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისთვის მზადების მიმდინარეობის გაშუქება“, „ტელე-

რადიოგადაცემებში სკკპ XXVI ყრილობისა“ და „საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისთვის მზადების მიმდინარეობის გეგმა“ თუ „რუსეთ-საქართველოს სამეგობრო ხელშეკრულების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემების მომზადება“, პარალელურად დაიგეგმა რესპუბლიკური ტელეფესტივალი „ვუმღერით სამშობლოს“ და კონკურსი „ჩემი ხატია სამშობლო“, რომელშიც აღწერილობის თანახმად თვითნასწავლ მხატვრებს შორის გამარჯვებულს ჟიური მაყურებელთან კონტაქტში შეარჩევდა, რის შემდეგ მოეწყობოდა ტელეგამოფენა (საქტელერადიო კომიტეტი, 1980). გადაცემების ზემოაღნიშნული ჩამონათვალი, რომელიც არ არის სრული, აჩვენებს, რომ საბჭოთა პროპაგანდისტული საქმიანობის მიღმა, 1979-1986 წწ., როცა „საქართველოს ტელევიზიის მხატვრული მაუწყებლობის არცთუ მცირე წილი ეკავა საბჭოთა ფილმებს, სპექტაკლებს, მუსიკალურ ნაწარმოებს, მათ გვერდით მუდმივად იყო როგორც მსოფლიო კულტურის თვალსაჩინო ნიმუშების, ისე ეროვნული კულტურული ღირებულებების პროპაგანდა“ (იბერი, 2016).

მერაბ ხაჩიძის განცხადებით, საბჭოთა პერიოდში, საქართველოს ტელევიზია გამოირჩეოდა საკავშირო ტელევიზიებიდან იმითაც, რომ პრაქტიკულად სრულ ეროვნულ მაუწყებლობაზე იყო. „რაც მახსენდება, ორი იყო, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გადაცემა საკავშირო ქვეყნებისთვის „ნა სტრაჟე იუჟნიხ რუბეჟეი“ (На страже южных рубежей), რომელიც კვირაში ერთხელ გადიოდა ნახევარი საათი და საინფორმაციო გადაცემა რუსულ ენაზე, „Вестник“-ი, რომელიც მარკ რივკინს მიჰყავდა. დანარჩენი ტელეპროდუქცია იყო მთლიანად ქართული ენაზე. რუსულ ენაზე მზადდებოდა და გადიოდა გადაცემები ბალტიისპირეთშიც კი, არათუ აზერბაიჯანში და სომხეთში“ (მ.ხაჩიძე, 2025).

იმ წლების მკაცრი ცენზურის მიუხედავად, ნუგზარ ფოფხაძის დახმარებით მაუწყებლობის მთავარი იდეოლოგიური ნარატივი გახდა „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ (მესხიშვილი, 1999), რაც გამოხატავდა საქართველოს ტელევიზიის პრიორიტეტს – ეროვნული თვითმყოფადობის დაცვას, ქვეყნის კულტურული სუვერენიტეტის შენარჩუნებით. ზემოთ წარმოდგენილი ფაქტები

ცხადყოფს, რომ 1979-1986 წწ. საქართველოს ტელე-რადიოკომიტეტი როგორც სახელმწიფო სისტემის შემადგენელი რგოლი, საბჭოთა პროპაგანდისტული საქმიანობის ფონზე, ფოკუსირებული იყო ეროვნულ კულტურულ ღირებულებებზე, რომლითაც წარმატებით ასრულებდა საზოგადოებრივი მაუწყებლობის მთავარ დანიშნულებას – ყოფილიყო ეროვნული ინტერესების დაცვის ინსტრუმენტი. შესაბამისად, 1979-1986 წწ. საქართველოს სსრ-ს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკითხებში სახელმწიფო კომიტეტის საქმიანობა შესაძლებელია განვიხილოთ როგორ საზოგადოებრივი მისიის მქონე მაუწყებლობის ადრეული მაგალითი.

**ადამიანური კაპიტალი და ნოვატორული პრაქტიკა: ხარისხი უპირველეს ყოვლისა**

1979 წელი ქართული ტელეჟურნალისტიკის ისტორიისთვისაც მნიშვნელოვანი წელი იყო, ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება გარდაიქმნა დამოუკიდებელ ფაკულტეტად (ხაინდრავა, 2005) – შეიქმნა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი სამი კათედრით. 70-იან წლებში, "ტელევიზიაში მუშაობდა სამიოდე ჟურნალისტიკადამთავრებული სპეციალისტი, რაც თავის დაღს ასვამდა გადაცემათა ხარისხს (ლეონიძე, 2002). შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ჟურნალისტიკის გაძლიერებული სწავლების საკითხი. უკვე 80-იანი წლების დასაწყისში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტისა და საქართველოს სსრ-ს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკითხებში სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივი ძალისხმევით, კათედრას დაემატა ათკაციანი კონტინგენტი „რამაც ხელი შეუწყო ტელე-რადიოსპეციალიზაციის გახსნას და დააჩქარა შესაბამისი კადრების შექმნა“ (ლეონიძე, 2002). გარდა ამისა, „გასული საუკუნის 80-იან წლებში, [ჟურნალისტიკის] წარმოებასთან სტუდენტთა დაახლოების მიზნით, კათედრამ საქართველოს ტელე-რადიოკომიტეტში, მისი მაშინდელი თავმჯდომარის ნუგზარ ფოფხაძის დახმარებით შეძლო დამოუკიდებელი ფილიალის დაარსება. ამ ფილიალმა უდიდესი როლი შეასრულა სტუდენტთა პროფესიული დაოსტატების საქმეში“ (ხაინდრავა, 2005). ედნარ გიორგობიანი იხსენებს, რომ „გამორჩეული კურსდამთავრებულები – ნანა ზარდიაშვილი და

მარინე გერმანიშვილი – პირდაპირ აიყვანეს შტატში. მომავალში გამოჩნდა, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. მაგალითად, ნანა ზარდიაშვილი ძალიან კარგი ჟურნალისტი აღმოჩნდა და შემდგომში საინტერესო შემოქმედებითი ჯგუფის ხელმძღვანელიც გახდა“(ე. გიორგობიანი, 2025).

ჟურნალისტიკის სწავლების მხარდაჭერა მიუთითებს, რომ ტელეპროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა 1979–1986 წწ. საქართველოს სსრ-ს სახელმწიფო კომიტეტის პოლიტიკაში კრიტიკულად მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა. ამასთან, ხელმძღვანელობა აცნობიერებდა, რომ „მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მუშაობა არის დღენიადაგ გადაწყვეტა მრავალუცნობიანი რთული ამოცანებისა, როცა წარმატება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მთელი რიგი ფაქტორებისა და ვითარების კომპლექსური გათვალისწინებით“ (ლეონიძე, 2002). ამ კონტექსტში, ჟურნალისტის კადრში მუშაობა, წმინდა ტექნოლოგიურად, 70–80%-ით უზრუნველყოფილია იმ ადამიანების მიერ, ვინც კადრს მიღმა რჩება, მაგალითად, ტელეოპერატორისა და ხმის რეჟისორის მიერ (Третьяков, 2004). მერაბ ხაჩიძის განცხადებით, ტელევიზიაში ნებისმიერ პოზიციაზე პროფესიონალიზმის გარეშე მუშაობა იყო გამორიცხული, მაგალითად, „ტელევიზიის ხმის რეჟისორს ჰქონდა უმაღლესი მუსიკალური განათლება. ნებისმიერ რეჟისორს კვალიფიკაცია უნდა ჰქონოდა უმაღლესი, ამასთან, მარტო უნივერსიტეტისგან მინიჭებული ცენზი კი არ იყო საკმარისი, არამედ გამოცდილებაც. მოსკოვში გამართულ ოლიმპიადაზე, ყველაზე მეტი ოპერატორი წაიყვანეს საქართველოს ტელევიზიიდან. სპორტული ღონისძიების გადაღებას სპეციფიკური ცოდნა ჭირდება და ქართველი ოპერატორების სკოლა იყო ძალიან მაღალ დონეზე. რედაქციაში მომუშავე, იმ დარგის სპეციალისტი უნდა ყოფილიყო. ოღონდ იყო ერთი ნიუანსი, ამასთან ერთად უნდა გცოდნოდა საზოგადოებასთან ურთიერთობა და გქონოდა სიტყვით გამოსვლის უნარი“ (მ.ხაჩიძე, 2025).

კითხვაზე, თუ ვინ უზრუნველყოფდა და განსაზღვრავდა ხარისხს, ედნარ გიორგობიანის პასუხია, რომ რედაქციებს დარგობრივი სპეციალისტები და

პროფესიონალები ხელმძღვანელობდნენ, მაგალითად, „მუსიკალურ რედაქციას ევგენი მაჭავარიანი, მთლიანად არხის მუსიკალური ხელმძღვანელი იყო არჩილ კერესელიძე, შემდეგ კი – ბიძინა კვერნაძე. ისინი უზრუნველყოფდნენ ეთერში ხარისხიანი მუსიკის არსებობას. არხის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო გიგა ლორთქიფანიძე. აკაკი ბაქრაძე – ლიტერატურულ-დრამატულ რედაქციაში მუშაობდა, ვახუშტი კოტეტიშვილი და ალექსი ჭინჭარაული – ხალხური შემოქმედების რედაქციაში, „თეატრონს“ მიშა თუმანიშვილი ხელმძღვანელობდა. ერთი პერიოდი გურამ დოჩანაშვილი მუშაობდა რადიოში ლიტერატურის მიმართულებით. მუსიკალურ რედაქციაში თითქმის ყველა მუსიკოსი იყო – დარგის სპეციალისტი. ლოტბარი სოლომონ ლაფაურიც ტელევიზიის თანამშრომელი იყო და მოგვიანებით მუსიკალური რედაქციის ხელმძღვანელიც გახდა. სახვითი ხელოვნების რედაქციას ვალია ხაზალია ხელმძღვანელობდა, რომელიც სორბონის კურსდამთავრებული იყო. ყველგან პროფესიონალები მუშაობდნენ, განსაკუთრებით შემოქმედებით რედაქციებში და შედეგიც შესაბამისი იყო“ (ე. გიორგობიანი, 2025).

აღსანიშნავია, რომ 1979-1986 წწ. საქართველოს ტელევიზიის ორგანიზაციულ-შემოქმედებითი სტრუქტურის ანალიზი ცხადყოფს, რომ ის უზრუნველყოფდა ტელეპროგრამის უნივერსალურობის მოთხოვნასაც, დაეგეგმა წარმოება მთელი საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე და მომსახურებოდა ყველა აუდიტორიას მიუკერძოებლად (BBC, 2024). შექმნილი იყო 12 რედაქცია და 11 სამსახური, რომელთა მუშაობით იქმნებოდა “გადაცემები მასობრივი აუდიტორიისათვის, ანუ ყველასთვის და გადაცემები აუდიტორიის მხოლოდ ცალკეული ჯგუფებისათვის, ანუ სპეციალიზებული გადაცემები” (იბერი, 2018) - ტელე-რადიოკომიტეტის მედიაპროდუქტები აკმაყოფილებდა ყველა ასაკის, სქესის, საცხოვრებელი ადგილის, საქმიანობის, პროფესიისა თუ ჰობის მაყურებელთა ინტერესებს. ხარისხზე ზრუნვის მაჩვენებელია ახალგაზრდული, საბავშვო, სამეცნიერო-პოპულარული და სასწავლო პროგრამების რედაქციების გაყოფა, მეტიც, ცალკე იყო შემეცნებით-გასართობი პროგრამების განყოფილება, ცალკე სტუდენტური, კიდევ ცალკე უმცროს და უფროსკლასელების თუ

პროფტექნიკური განათლების გადაცემათა ჯგუფები და ა.შ. (იბერი, 2016). აღნიშნული უზრუნველყოფდა სპეციფიკური თემების სიღრმისეულ შესწავლას, დაგეგმვას და მომზადებას. ოთარ შაორშაძის განმარტებით, იმ დროს არსებობდა ექსპერტთა ინსტიტუტი: „ექსპერტებს ევალებოდათ ორი სახის ინფორმაციის მოწოდება – კრიტიკული და დადებითი. ამას აჯამებდა რედაქცია, აკეთებდა დასკვნას და ჟურნალისტი იწყებდა მუშაობას“ (ო.შაორშაძე, 2025).

ტელეპროდუქციის ხარისხის მაჩვენებელია მისი შედეგიანობა. 1979-1986 წწ. საქართველოს ტელევიზიამ შექმნა კრიტიკული მიმართულების გადაცემების ციკლი, რომელთაგან ერთ-ერთი მიეძღვნა იმ დროს საქართველოში გავრცელებულ ადამიანების გამოსასყიდად გატაცების პრაქტიკას. გადაცემის ფორმად მოიძებნა სოფლის მაცხოვრებელთა შეკრების გადაღება, რომელიც სოციალურ-მორალურ დრამად იქცა. ოთარ შაორშაძის განცხადებით, გადაცემამ „კაკაბეთის ზარები“, ისე იმოქმედა, რომ დამოუკიდებლობის პერიოდამდე, მას შემდეგ გატაცების ფაქტი აღარ დაფიქსირებულა საქართველოში“ (ო. შაორშაძე, 2025). ხსენებულ გადაცემაზე გამოწვეული რეზონანსი, მართალია მწირ, თუმცა საქართველოს ტელევიზიის შესახებ ყველა აკადემიურ თუ მემუარულ ლიტერატურაშია განხილული. ელდარ იბერი, 1979-1980 წწ. საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის პროგრამების მთავარი დირექციის მთავარი დირექტორი და 1983-1986 წწ. თავმჯდომარის მოადგილე იხსენებს, რომ „უამრავმა მაყურებელმა დარეკა და თავის მხარდაჭერა გამოხატა, 400-ზე მეტი წერილი მოვიდა, 100-ზე მეტი კაცი უშუალოდ რედაქციას ეწვია, მრავალმა საწარმომ კოლექტიური წერილი გამოაგზავნა. ამის შესახებ აღინიშნა საზღვარგარეთის პრესაშიც – ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში“ (იბერი, 2016).

ანალოგიურად დიდი გამოხმაურება, ეფექტი და ქმედითობა მოჰყვა გადაცემას „ბიჭები მოიპარეს“, რომელშიც მოთხრობილი იყო ამბავი, თუ როგორ გახდა ქუთაისის კომუნისტური ახალგაზრდული კავშირის მდივნის მოადგილე მოზარდი ქურდების ჯგუფის ხელმძღვანელი, სადაც ტელეეკრანიდან როგორც

ქალაქის ხელმძღვანელობის კრიტიკა გაისმა, ისე მთლიანი საზოგადოების წილ პასუხისმგებლობაზეც იყო მინიშნება. „გადაცემის ტრანსლაციის დასრულებისთანავე, ქუთაისის ყველა კომკავშირულ ორგანიზაციაში მოეწყო საგანგებო კრება, რომელიც გვიანობამდე გაგრძელდა; მეორე დღეს კომკავშირული კრებები გადაიქცა საზოგადოებრივ ფორუმად. ცხარე კამათი გაიშალა შრომით კოლექტივებში, სტუდენტურ ჯგუფებში, სკოლებში; კრებებში 50 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა, სიტყვით გამოვიდა 25 ათასი კაცი“ (ფოფხაძე, 1985). მათი ნარატივი შეიცავდა საკუთარი პასიურობის და შემრიგებლობის მკაცრ შეფასებას. 1979-1986 წწ. საქართველოს ტელევიზიის მუშაობა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მიმართულებით, შესაძლოა, შეფასდეს, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთმოქმედება, რაც თანამედროვე გაგებაა, როცა ტრადიციული და მეტწილად საბჭოთა გაგებით ის საზოგადოებაზე ზემოქმედებად ფასდება (თათარაშვილი, 2003).

1979-1986 წწ. ტელევიზიის ნებისმიერ კრიტიკულ გადაცემას დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა რეაქცია, რადგან „არსებობდა კრიტიკულ გამოსვლებზე რეაგირების მთელი სისტემა, რომელიც ითვალისწინებდა როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ისე პარტიულ-პოლიტიკური ღონისძიებების გატარებას“ (თათარაშვილი, 2003). განსაზღვრული იყო ვადაც - რეაგირების ვალდებულება ორი კვირის განმავლობაში. ამ მიზეზით, აღნიშნულ პერიოდში, „ტელევიზიის „ძალაუფლება“ იმდენად გაიზარდა, რომ ზოგჯერ უდანაშაულობის პრეზუმფციასაც კი არ ითვალისწინებდა – მას შეეძლო „ბიუროკრატად“ გამოეცხადებინა ნებისმიერი თანამდებობის პირი, წინასწარ სახალხოდ გაესამართლებინა ბრალდებული, ანდა, პირიქით, ციხიდან გამოეყვანა დამნაშავეთა წრეში შემთხვევით მოხვედრილი ადამიანი“ (იბერი, 2016). მერაბ ხაჩიძის მოგონებით, რეჟისორ სანდრო მამასახლისის ფილმებმა სასჯელაღსრულების ორგანო აიძულა, რომ ციხიდან გამოეშვათ ერთ-ერთი დაპატიმრებული პირი (მ.ხაჩიძე, 2025).

ტელეპროდუქციის ხარისხის ამაღლების მიღწევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ახალი ფორმების ძიებას. ასე გაჩნდა უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ მაყურებლებისთვის სატელევიზიო ეთერში ანგარიშის ჩაბარებისა და მოსახლეობის კითხვებზე პასუხის გაცემის პრაქტიკა (Попхадзе, 1982) – ყოველთვიური, ერთსაათიანი გადაცემის „სტუდია „დიალოგის“ ანონსი ერთი თვით ადრე კეთდებოდა. გარდა წერილების გამოგზავნისა, მაყურებლებს შეეძლოთ პირდაპირი ეთერის მიმდინარეობისას დაერეკათ და დაესვათ სტუმრისთვის კითხვა. საქართველოს ტელევიზიისთვის ახალი ფორმა იყო გადაცემა „თბილისი – ჩემი სიყვარული“, რომლის წამყვანი, კინოდოკუმენტალისტი გურამ ჟვანია, ორი თვის განმავლობაში ტაქსის მძღოლად მუშაობდა და როგორც თვითმხილველი, ინიშნავდა ყველა უარყოფით სიტუაციას თუ შემთხვევას, რომ მასალა განსახილველად წარედგინა საზოგადოებისთვის. „40 გადაცემიდან არცერთი არ დარჩენილა გამოხმაურების გარეშე და ეს რუბრიკა სოციალურ პრაქტიკაზე ჟურნალისტიკის ზემოქმედების ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ (იბერი, 2016). ოთარ შაორშაძის განცხადებით, იყო ახალი ფორმების ძიებაც საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად განკუთვნილი ჟურნალისტური მასალებისთვის: „ჩვენ მაშინ დავიწყეთ კადრებით აზროვნება. მაგალითად, „ღიპიანი“ კაცები ვანახეთ სახის გარეშე – ასეთი ფორმა იყო მოფიქრებული, თან ეთიკური თან სამაგალითო. ჩვენ ვიყავით პირველი ტელევიზია საბჭოთა კავშირში, რომელიც ახალ ჟურნალისტურ ფორმებს სთავაზობდა აუდიტორიას – რეპორტაჟებს უსიტყვოდ“(ო. შაორშაძე, 2025). მერაბ ხაჩიძის მტკიცებით, „ეს იყო პირველი მედია საბჭოთა კავშირში, როდესაც მაგალითად, ინფორმაციამ პერიფრაზით დაიწყო გასვლა დასავლური ტელევიზიის მსგავსად. უამრავი სხვა ახალი ფორმა დაინერგა, მაგალითად, ინფორმაციის პერსონიფიკაცია – წამყვანზე აეგო ინფორმაცია. ცენტრალურ ტელევიზიაში ჯერ კიდევ დიქტორს მიჰყავდა საინფორმაციო პროგრამა, როცა საქართველოს ტელევიზიაში „მოამბე“ უკვე წამყვანებს. ამით ჩამოყალიბდა ტელეჟურნალისტების ინსტიტუტი. ახალი ფორმა იყო მოამბეში ე.წ. ანალიტიკური ბლოკი და კომენტატორები,

ინფორმაციის განხილვა, მათ შორის, იუმორის ჩართვა ტექსტებში. ახალი იყო გადაცემების ანონსებიც (მ.ხაჩიძე, 2025).

კითხვაზე, ერეოდა თუ არა პარტია კონტენტის ფორმასა და შინაარსში, შემოქმედებით მიდგომაში რამდენად თავისუფლები იყვნენ ჟურნალისტები, ედნარ გიორგობიანი განმარტავს, რომ „მთავარ იდეოლოგიურ ხაზს ცხადია ისინი იძლეოდნენ, თუმცა, უკვე შესრულებაში რომ ჩარეულიყვნენ, ეს საინტერესო აღარ გამოვიდოდა. ამიტომ შემოქმედებით ჯგუფებს ეძლეოდათ თავისუფლება. თითქოს განსაკუთრებული რა უნდა გაეკეთებინათ, რაც მანამდე არ იყო, მაგრამ ფიქრობდნენ, ეძებდნენ და პოულობდნენ. შედეგად, მაყურებლისთვის ძალიან საინტერესო გადაცემები იქმნებოდა. დავალება იყო, მაგრამ კეთდებოდა საინტერესო ფორმით“ (ე. გიორგობიანი, 2025). ოთარ შაორშაძე კატეგორიულად არ ეთანხმება გავრცელებულ აზრს, რომ ხმის ამოღება იმ პერიოდში შეუძლებელი იყო. მისი მტკიცებით, 1979-1986 წწ. „ყველას ჰქონდა ხმის უფლება. რა თქმა უნდა, როცა ვმუშაობდი, ანგარიშს ვუწევდი და რაღაც თემებს ვუთანხმებდი. აბა რისთვის არსებობდა მთავარი რედაქტორი, მოადგილე თუ თავმჯდომარე?! საკვანძო საკითხები მათი გადასაწყვეტი იყო“ (ო. შაორშაძე, 2025). მერაბ ხაჩიძის კომენტარი ცენზურასთან დაკავშირებით, შემდეგია: “იყო „მთავლიტი“, რომელიც იძლეოდა ან არ იძლეოდა ე.წ. ვიზას, თუმცა ჩვენ ჟურნალისტებს გვქონდა მხარდაჭერა ტელევიზიის ხელმძღვანელის, რომელიც თავისთავზე იღებდა სიტუაციის დარეგულირებას“ (მ. ხაჩიძე, 2025).

აღიარებულია, რომ თუ საზოგადოებრივი მაუწყებლის ე.წ. role model-ი BBC რამეს განასახიერებს, ეს არის ხარისხი (BBC, 2016). სწორედ ამიტომ, მედიაინდუსტრიაში დამკვიდრებული ტერმინი „BBC-ს სტანდარტი“ წარმოადგენს მაღალი სარედაქციო სახელმძღვანელო პრინციპების სინონიმს, რომლებიც უზრუნველყოფს სამაუწყებლო პროდუქციის უმაღლეს ხარისხს. მოყვანილი ფაქტების ანალიზზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ 1979-1986 წწ. საქართველოს სახელმწიფო ტელე-რადიოკომიტეტი, ინტელექტუალური რესურსების მობილიზებითა და შედეგზე ორიენტირებული ნოვატორული

ჟურნალისტური პრაქტიკით, წარმატებით ასრულებდა საზოგადოებრივი მაუწყებლობის მისიას – ხარისხიანი ტელეპროდუქციის მიწოდებას მაყურებლისთვის, რაც განაპირობებს მისთვის საზოგადოებრივი მაუწყებლის პროტოტიპის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობას.

დასკვნა:

1987 წელს, ე.წ. გლასნოსტის პოლიტიკის ფონზე, საბჭოთა კავშირი გაიხსნა დასავლური მედიისთვის და ამერიკულმა სამაუწყებლო კომპანია სი-ბი-ეს-მა (Columbia Broadcasting System - CBS) მოამზადა ვრცელი დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა კავშირი, შვიდი დღე მაისში“ (Soviet Union: Seven Days in May) (Rather, 1987). გადაცემის მიზანი იყო, ამერიკელი აუდიტორიისთვის ეჩვენებინათ საბჭოთა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება, რისთვისაც წამყვანმა დენ რათერმა და CBS-ის გუნდმა იმოგზაურეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში. საბჭოთა რეჟიმის პოზიტიური რეფორმების საჩვენებლად, საბჭოთა მედიის „სამაგალითო“ მოდელად გადაცემისთვის შეირჩა საქართველოს სსრ-ს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკითხებში სახელმწიფო კომიტეტი. შერჩევის კრიტერიუმად, სავარაუდოდ, დასახელდა შემდეგი: ე.წ. პერესტროიკის პერიოდში, როცა მთელ საბჭოთა კავშირში განვითარება დაიწყო საჯაროობის სხვადასხვა ფორმებმა, საქართველოში უკვე ათვისებული იყო ნოვატორული ფორმები (თათარაშვილი, 2003).

წინამდებარე კვლევის შედეგები, რომლებიც მიღებულია 1979-1986 წწ. საქართველოს სსრ-ს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკითხებში სახელმწიფო კომიტეტის სატელევიზიო მაუწყებლობის პოლიტიკისა და პრაქტიკის სიღრმისეული ანალიზით, ადასტურებს წარმოდგენილ ჰიპოთეზას, რომ 1979-1986 წწ. საქართველოს ტელევიზია, მიუხედავად სახელმწიფო სტატუსისა, ფაქტობრივად, წარმოადგენდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციის მქონე უწყებას. კვლევამ გამოავლინა ოთხი ურთიერთდაკავშირებული სტრატეგია, რომლის საშუალებით მან შეძლო საზოგადოებრივი მისიის განხორციელება: საზოგადოებრივი ლეგიტიმაცია, კულტურული სუვერენიტეტი, ადამიანური კაპიტალი და ნოვატორული პრაქტიკა.

კვლევის შედეგები წარმოადგენს მნიშვნელოვან კონტრიბუციას როგორც ქართულ აკადემიურ ლიტერატურაში, ისე მედიის კვლევის საერთაშორისო დისკურსში, რადგან ადასტურებს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის არსებობა შესაძლებელია შეზღუდული ავტონომიის მქონე სახელმწიფოშიც, თუკი მაუწყებელი იმუშავებს მაღალი პროფესიული სტანდარტით. გარდა ამისა, ნაშრომი ემსახურება იმის დასტურს, რომ საქართველოში საზოგადოებრივი მაუწყებლობის იდეას ადგილობრივი ისტორიული პრაქტიკა უდევს

საფუძვლად, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მისიისა და ფუნქციის გაძლიერებას.

**ბიბლიოგრაფია**


1. ავტორთა ჯგუფი (2016). ჟურნალისტიკა. თბილისი: მერიდიანი.
2. თათარაშვილი, ნ. (2003). ტელეჟურნალისტიკის საკითხები: სტატიების კრებული. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. იბერი, ე. (2016). საქართველოს ტელევიზიის ისტორია. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. იბერი, ე. (2018). ელექტრონული მედიის პროგრამირება. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
5. ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი! (1979 წლის 23 თებერვალი). შეიქმნა სამეცნიერო ცენტრი. *საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის პროგრამები*, 8(1122), გვ. 1.
6. ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი! (1981 წლის 28 აგვისტო). გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს. *საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის პროგრამები*, 35(1253), გვ. 5.
7. ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი! (1982 წლის 4 ივნისი). შოთა რუსთაველი "ვეფხისტყაოსანი". *საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის პროგრამები*, 23(1293), გვ. 5.
8. ლეონიძე, ნ. (1987). ტელევიზიის მოამბე. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
9. ლეონიძე, ნ. (2002). ტელეჟურნალისტიკა. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
10. მესხიშვილი, ი. (1999). საქართველოს ტელევიზია 1956-1988 წლებში. თბილისი: თბილისი.
11. მჟავანაძე, თ. (2005). ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი! *ტელე-რადიოჟურნალისტიკის საკითხები*, VII, 200-207.
12. საქტელერადიო კომიტეტი. (1980). კოლეგიის ოქმები დანართები. თბილისი: საქართველოს ეროვნული არქივი.
13. საქტელერადიო კომიტეტი. (1981). კოლეგიის დადგენილებები და ზოგიერთი ბრძანებები. თბილისი: საქართველოს ეროვნული არქივი.
14. საქტელერადიო კომიტეტი. (1982). კოლეგიის დადგენილებები და ზოგიერთი ბრძანებები . საქართველოს ეროვნული არქივი.
15. ფოფხაძე, ნ. (1985). როცა სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობას ვუნერგავთ. *საქართველოს კომუნისტი*, 9, 35-42.
16. ხაზალია, ვ. (2009). ქართული ტელევიზიის სათავეებთან. *ჩვენი მწერლობა*, 26(104), 25-30.

17. ხაინდრავა, ი. (2005). ნახევარი საუკუნე თეთრ ტაძარში. თბილისი: გამომცემლობა "უნივერსალი".
18. BBC. (2016). A distinctive BBC. BBC.
19. Blumler, J. G., & Katz, E. (1974). The uses of mass communications: Current perspectives on gratifications research. Beverly Hills: SAGE Publications.
20. Evans, C. (2010). From 'Truth' to 'Time': Soviet Central Television, 1957-1985, Unpublished PhD Dissertation. Berkeley: University of California.
21. Gyldensted, C. (2015). From Mirrors to Movers: Five Elements of Positive Psychology in Constructive Journalism. Charleston: CreateSpace Independent Publishing Platform.
22. Habermas, J. (1991). The Structural Transformation of the Public Sphere: An Inquiry into a Category of Bourgeois Society. Cambridge, Massachusetts: The MIT Press.
23. Moore, M. H. (1995). Creating Public Value: Strategic Management in Government. Cambridge: Harvard University Press.
24. Sinitsyn, F. L. (2021). The Challenges to Social Control in Brezhnev's Soviet Union, 1964-1982. *RUDN Journal Of Russian History*, 20(1), 160-173 doi: 10.22363/2312-8674-2021-20-1-160-173.
25. Заря Востока. (1979 წლის 12 იანვარი). Указ Президиума Верховного Совета Грузинской ССР. *Заря Востока*, 10(16286), გვ. 1.
26. Плахов, А. (1980 წლის 20 ნოემბერი). Подсказано Жизнью. *Правда*, 325(22755), გვ. 3.
27. Попхадзе, Н. (1982). Телевидение – эффективное средство пропаганды и утверждения социалистического образа жизни: опыт работы Грузинского телевидения. Формы и Методы, Докторская диссертация. Академия Общественных Наук При ЦК КПСС, Идеологическое Отделение, Кафедра Журналистики, Москва.
28. Правда. (1981 წლის 18 იანვარი). Телевидение и дети. *Правда*, 18(22814), გვ. 1.
29. Третьяков, В. (2004). Как Стать Знаменитым Журналистом: Курс лекции по теории и практике современной русской журналистики. Москва: Научно-издательский центр «ЛАДОМИР» .
30. Чекалова, Е. (1980 წლის 18 იანვარი). Зритель Просит Слова. *Советская культура*, 6(5326), გვ. 3.
31. Чекалова, Е. (1983 წლის 1 აპრილი). Диалог. *Правда*, 91(23617), გვ.

ინტერნეტ წყაროები:

32. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა. (2012). ბიოგრაფიული ლექსიკონი: ლევან ღვინჯილია. მოპოვებული 2025 წლის ოქტომბერი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა: https://short-url.org/1cavl-დან
33. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა. (2012). ქართველები უცხოეთში, ბიოგრაფიები და მოღვაწეობა: ოთარ სეფიაშვილი. მოპოვებული 2025 წლის ოქტომბერი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა: https://short-url.org/1cedH-დან
34. BBC. (2024). BBC Mission. მოპოვებული 2025 წლის მაისი, bbc.com: https://short-url.org/1gRuc-დან
35. Rather, D. (1987 წლის 24 მაისი). Soviet Union: Seven Days in May. CBS News. მოპოვებული 2025 წლის სექტემბერი Analog Oddities: https://short-url.org/1gZJp
36. Госкомстат СССР. (1989). Итоги Всесоюзной переписи населения 1979 года: Том I, Численность Населения СССР союзных в автономных республик, краев и областей. Статистическия Сборник. მოპოვებული 2025 წლის სექტემბერი, statmuseum.ru: https://short-url.org/1cavg-დან
37. Померанцев, И. (2021 წლის 27 აგვისტო). Я работал в газете "Правда" - Интервью с Андреем Плаховым. მოპოვებული 2025 წლის სექტემბერი, Радио «Свобода» - Русская служба: https://short-url.org/1cavb -დან
38. Совет Министров СССР. (1957 წლის 6 სექტემბერი). Постановление Совета Министров СССР. Об утверждении Положения о Государственном комитете по радиовещанию и телевидению при Совете Министров СССР № 1076. მოპოვებული 2025 წლის სექტემბერი, Электронная библиотека исторических документов: https://short-url.org/1cau-დან

## აბსტრაქტი

კვლევითი ნაშრომის მიზანია 1979-1986 წწ. საქართველოს სსრ-ს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკითხებში სახელმწიფო კომიტეტის სატელევიზიო მაუწყებლობის პოლიტიკისა და პრაქტიკის შესწავლა. ჩვენი ვარაუდით, აღნიშნული წლების საქართველოს ტელევიზია, მიუხედავად მისი სახელმწიფო სტატუსისა და საბჭოთა რეჟიმში მუშაობის მოცემულობისა, წარმოადგენდა საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროტოტიპს, რომელმაც შეძლო საზოგადოებრივი მისიის შესრულება შემდეგი პირობების შექმნით: საზოგადოებრივი ლეგიტიმაციის მოპოვებით, კულტურული სუვერენიტეტის დაცვით, ადამიანური კაპიტალის მობილიზებითა და ნოვატორული პრაქტიკის

დანერგვით. კვლევა ავსებს მნიშვნელოვან აკადემიურ სიცარიელეს 1979-1986 წწ. ქართულ მედიაზე და წარმოადგენს მნიშვნელოვან კონტრიბუციას მედიის კვლევის საერთაშორისო დისკურსშიც, რადგან ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლობის არსებობა შესაძლებელია შეზღუდული ავტონომიის მქონე სახელმწიფოშიც, თუკი მაუწყებელი მიაღწევს უმაღლეს პროფესიულ სტანდარტებს, ამასთან, ადასტურებს, რომ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის იდეას საფუძვლად უდევს ადგილობრივი ისტორიული პრაქტიკა.

## Abstract

The research paper aims to study the television broadcasting policy and practice of the State Committee for Television and Radio Broadcasting of the Georgian SSR from 1979 to 1986. We hypothesize that Georgian Television, as it existed during the specified years, despite its state status and operating conditions within the Soviet regime, represented a prototype of public service broadcasting. It succeeded in fulfilling its public mission by establishing the following conditions: achieving public legitimacy, safeguarding cultural sovereignty, mobilizing human capital, and implementing innovative practices. The research fills a significant academic gap regarding Georgian media from 1979 to 1986 and makes a substantial contribution to the international discourse on media studies. It argues that public service broadcasting can exist even in a state with limited autonomy, provided the broadcaster achieves the highest professional standards. Furthermore, the study confirms that the idea of public service broadcasting in Georgia is underpinned by local historical practice.